ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 ოქტომბრის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

მანანა ბარბაქაძე

2. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის

ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 ოქტომბერი რიგგარეშე სხდომის

ოქმი N 16

2025 წლის 10 ოქტომბერი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, პაატა გოგოლაძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, ნონა ზურაბიანი, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ვახტანგი ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, ირმა ვეფხვაძე, ინგა მაღრაძე, სულ საკრებულოს 20 წევრი (1 ირმა ვაქერ - სებისკვერაძე სათათბირო ხმით შვებულებაში ყოფნის გამო).

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

პეტრე შარიქაძე ხარაგაულის მუნიციპალიტრტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი.

საკრებულოს აპარატი

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თამარ მაღრაძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,

ლაურა გოგოლაძე გაზეთ „ჩემი ხარაგაულის მთავარი ჟურნალისტი,

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

მანანა ბარბაქაძე

2. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის

ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 20 წევრი.

მომხრე 20

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაეკისრა საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს დავით კიკნაძეს და სიტყვა მოხსენებისათვის მიეცა საკრებულოს თავმჯდომარეს მანანა ბარბაქაძეს

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ანგარიში **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ** (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:
შალვა ლურსმანაშვილმა ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარემ, მან მადლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარეს გაწეული საქმიანობისათვის და კითხვით მიმართა თუ რა მდგომარეობაა საშეშე მერქნის მოპოვებისთვის
მ. ბარბაქაძემ, მომხსენებელმა გასცა პასუხი, სექტემბრის თვეში შეხვედრა გვქონდა სახელმწიფო რწმუნებულთან, სადავ აღნიშნული შეკითხვა იქნა დასმული, გუბერნატორის განგვემარტა 29 სექტემბრისათვის ბეჭდვითი სამუშაოები უკვე იყო დასრულებული, მაგრამ არ იყო გახსნილი კოდები ბანკში ამჟამად ეს საკითხიც მოგვარებულია თითოეულ ოჯახზე 7კუბმ - ია გამოყოფილი.

ეკა შველიძემ, საკრებულოს წევრმა დასვა წინადადება, დაბაში მოჭრილი ხეების სანაცვლოდ რაიმე დეკორატიული მცენარეების ჩანაცვლების თაობაზე,

ინგა მაღრაძემ საკრებულოს წევრმა მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა, წყალაფორეთში სკოლის მშენებლობისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით

მ. ბარბაქაძემ, მომხსენებელმა გასცა პასუხი, წყალაფორეთის სკოლის მშენებლობის შესახებ გამოცხადებული ტენდერი ორჯერ ჩაიშალ, ბავშვები გადანაწილებულები არიან მეზობელ სკოლებში და ემსახურებათ ტრანსპორტი. ჩვენი სურვილიც არის, რომ მალე მიწესრიგდეს ეს საკითხი სკოლა აუცილებლად აშენდება,

დავით კიკნაძემ საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მადლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარეს გაწეული საქმიანობისათვის და დააყენა წინადადება დადებითად შეფასების თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დავით კიკნაძის წინადადება საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე
კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე 19

წინააღმდეგი1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე დაუბრუნდა საკრებულოს სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის პეტრე შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე „საქართველოს რეგიონული

განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ“ (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა
სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი
კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე 19

წინააღმდეგი 1

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**